5 2019 წლის შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან

შემოსავლები მოცემულია რესტორნების მიხედვით:

	შემოსავალი	შენიშვნა
1 მაჭახელა ლესელიძის #26	260,708.07	
2 სამიკიტნო, თუმანიანის #23	4,557,731.23	
3 სამიკიტნო აღმაშენებლის #106	1,245,532.39	
4 სამიკიტნო კოსტავას #77	1,585,683.11	
5 სამიკიტნო რუსთაველის #24	377,589.09	
6 სამიკიტნო ბათუმში	1,138,485.34	
7 სამიკიტნო პუშკინის #5-7	1,445,299.88	
8 სამიკიტნო ფხოვის #2	464,690.21	გაიხსნა მაისში
9 სამიკიტნო კოსტავას #25	1,009,988.14	
10 სამიკიტნო წერეთლის მეტროს მიმდებარედ	885,336.50	
11 სამიკიტნო აწყურის #45	775,901.66	
12 სამიკიტნო ვაჟა-ფშაველას #5	776,692.71	
13 სამიკიტნო ხიზანიშვილის #31	1,562,653.64	
14 სამიკიტნო მოსაშვილის #11	661,960.93	
15 სამიკიტნო ჯავახეთის #16	1,339,078.06	
16 სამიკიტნო ყაზბეგის #46	71,082.77	დაიხურა იანვარში
17 სამიკიტნო ქეთევან წამებულის #2	1,033,467.00	
18 სულ შემოსავალი	19,191,880.85	

5 2018 წლის შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან

შემოსავლები მოცემულია რესტორნების მიხედვით:

	შემოსავალი	შენიშვნა
1 მაჭახელა კოსტავას #77	139,393.80	დაიხურა მაისში
2 მაჭახელა ლესელიძის #26	410,778.40	
3 მაჭახელა წერეთლის #77	142,981.61	დაიხურა სექტემბერში
4 სამიკიტნო, თუმანიანის #23	7,482,211.64	
5 სამიკიტნო აღმაშენებლის #106	1,521,788.59	
6 სამიკიტნო კოსტავას #77	1,621,441.30	
7 სამიკიტნო რუსთაველის #24	575,732.76	
8 სამიკიტნო ბათუმში	1,095,422.19	
9 სამიკიტნო პუშკინის #5-7	2,197,999.69	
10 სამიკიტნო ყაზბეგის # 26	74,585.46	დაიხურა მარტში
11 სამიკიტნო კოსტავას #25	1,188,834.78	
12 სამიკიტნო წერეთლის მეტროს მიმდებარედ	897,331.16	
13 სამიკიტნო აწყურის #45	718,292.93	
14 სამიკიტნო ვაჟა-ფშაველას #4	624,803.30	
15 სამიკიტნო ხიზანიშვილის #31	1,447,582.89	
16 სამიკიტნო მოსაშვილის #11	610,619.36	
17 სამიკიტნო ჯავახეთის #16	1,112,090.92	
18 სამიკიტნო ყაზბეგის #46	517,087.94	
19 სამიკიტნო ქეთევან წამებულის #2	978,968.13	გაიხსნა თებერვალში
20 სულ შემოსავალი	23,357,946.96	

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულების ძირითადი შემადგენელი ნედლეულია: ნედლი ხორცი, ყველი, ბოსტნეული.

თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასმელებს, რაც მოიცავს: არაყს, ლუდს, ღვინოს, ლიმონათს, წვენს. მცირე წილი უკავია დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს.

თვითღირებულება ასევე მოიცავს დესერტს: ტკბილეული, ხილი, ნაყინი.

7 იჯარის ხარჯი

		2019 წ.	2018 წ.
1	საწყობი, თბილისი	19,153	14,110
2	სარესტორნე ფართის იჯარა, ქუთაისი	-	7,239
3	საწყობის იჯარა, ბათუმი	4,500	3,975
4	ავტომანქანის იჯარა	2,034	2,034
5	მიწის იჯარა თბილისი	17,754	21,305
6	ყავის დანადგარის იჯარა	-	-
7	სარესტორნე ფართის იჯარა, ბათუმი	150,000	112,500
8	სარესტორნე ფართის იჯარა (თბილისის რესტორნები)	3,354,118	2,695,082
9	ჯამი:	3,547,559	2,856,245

8 კომუნალური ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
ელექტორ ენერგია	599,197	601,771
გაზი	173,967	146,947
წყალი	213,190	265,864
დასუფთავება	52,931	55,959
სულ ხარჯი	1,039,285	1,070,540

9. სამეურნეო ხარჯი

სამეურნეო ხარჯი აერთიანებს: ჰიგიენის საშუალებებს, სადეზინფექციო საშუალებებს, ქაღალდის პროდუქციას და სამეურნეო მცირეფასიან ინვენტარს. სამეურნეო საქონელი გამოიყენება როგორც ჭურჭლის დასასუფთავებლად, ასევე შენობების, სამზარეულოს და ეზოს დასასუფთავებლად.

10 დებიტორული დავალიანება

	2019	2018
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ გაწეული მომსახურებიდან	-	-
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე (ფინანსური ინსტიტუტების გარდა) გაწეული მომსახურებიდან	172,930	25,300
მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტის (ბანკი) მიმართ მომხმარებელთან უნაღდო ანგარიშწორების მოსახურებიდან	31,897	26,907
ჯამი	204,827	52,207

11. წლის ბოლოს არსებული მარაგები

წლის ბოლოს არსებული მარაგების ძირითადი შემადგენელი ნედლეულია: ნედლი ხორცი, ყველი, ბოსტნეული.

მარაგებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასმელებს, რაც მოიცავს: არაყს, ლუდს, ღვინოს, ლიმონათს, წვენს. მცირე წილი უკავია დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს.

12. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილება	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერია ლური აქტივები	სულ
2018 წლის 01 იანვარი	684,714	177,595	503,937	91,779	703,020	44,921	2,205,966
შემოსვლა	121,669	21,155	58,664	43,548	194,196	-	439,232
გასვლა	(11,864)	-	-	(6,260)	-	-	(18,124)
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	794,519	198,750	562,601	129,067	897,216	44,921	2,627,074
2019 წლის 01 იანვარი	794,519	198,750	562,601	129,067	897,216	44,921	2,627,074
შემოსვლა	111,758	28,552	46,374	-	249,997	678	437,359
გასვლა	-	-	-	-	(9,523)	-	(9,523)
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	906,277	227,302	608,975	129,067	1,137,690	45,599	3,054,910
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა							
2018 წლის 01 იანვარი	288,797	97,981	251,086	29,978	501,442	26,019	1,195,303
ცვეთა	96,608	20,313	65,692	11,222	93,687	4,516	292,038
გასული ძ. საშ. ცვეთა	(335)	-	-	(2,750)	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	385,070	118,294	316,778	38,450	595,129	30,535	1,487,341
2019 წლის 01 იანვარი	385,070	118,294	316,778	38,450	595,129	30,535	1,484,256
ცვეთა	80,773	15,987	54,559	11,860	165,393	3,466	332,038
გასული ძ. საშ. ცვეთა	-	-	-	-	(2,860)	-	(2,860)
2019 წლის 31 დეკემბერი	465,843	134,281	371,337	50,310	757,662	34,001	1,813,434
საბალანსო ღირებულება							
საბ. ღირ. 01.01.2018	395,917	79,614	252,851	61,801	201,578	18,902	1,010,663
საბ. ღირ. 31.12.2018	409,449	80,456	245,823	90,617	302,087	14,386	1,139,733
საბ. ღირ. 31.12.2019	440,434	93,021	237,638	78,757	380,028	11,598	1,241,476

13 კრედიტორული დავალიანება

	2019	2018
	ლარი	ლარი
ვალდებულება ნედლეულის მომწოდებლების მიმართ	1,924,573	1,347,367
ვალდებულება გამჭირავებლების მიმართ	452,957	366,903
ვალდებულება კომუნალურის მომწოდებლების მიმართ	18,397	22,505
ვალდებულება მომსახურების მომწოდებლის მიმართ	209,530	68,821
ვალდებულება ინვენტარის და რემონტის მასალების მომწოდებლების მიმართ მიმართ	16,123	71,665
სხვა ვალდებულებები	94,328	21,650
ჯამი	2,715,907	1,898,911

შპს “მაჭახელა-სამიკიტნო“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

2019 წელი

შინაარსი:

1. დირექტორატის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში:
საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა;
3. თავი II - საზოგადოების განვითარების პერსპექტივები;
4. თავი III- განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები;
6. თავი V - გარემოს დაცვა;
7. თავი VI – ძირითადი რისკები;

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“

საფირმო სახელწოდება:	მაჭახელა-სამიკიტნო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404889750
რეგისტრაციის თარიღი:	02.03.2011წ
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკე- საბურთალოს რაიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა ლაბორატორიის მიმდებარედ/თბილისი კოსტავას 71
ტელეფონი:	+ 995 32 2 142 142
ელ. ფოსტა:	machackela@gmail.com
ვებ გვერდი:	vdcapital.ge
ხელმძღვანელობა /	დირექტორი
წარმომადგენლობა:	დიმიტრი ელიზბარაშვილი

**ფინანსური და მართვლობითი ანგარიშის
მომხმარებლებს**

**შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს
დირექტორის**

მ ი მ ა რ თ ვ ა

წარმოგიდგენთ შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს მმართველობით ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად.

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის საზოგადოებრივი კვება, რომელიც წარმოდგენილია რესტორან „მაჭახელა-სამიკიტნოს“ ქსელით თბილისსა და ბათუმში .

ამჟამად კომპანია მართავს 12 რესტორანს (თბილისში 11, ერთი ბათუმში).

რესტორნების რაოდენობა 2019 წლის დასაწყისში იყო 17, წლის განმავლობაში ყაბეგის გამზირზე #46 მდებარე რესტორანი დაბალი რენტაბელობის გამო ხელმძვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ყაბეგის რესტორანი დაეხურა, ხოლო სანაცვლოდ გახნა ახალი რესტორანი კოლმეურნეობის მოედანზე ფხოვის #2-ში.

როგორც წინა წლის მმართველობით ანგარიშში ვაანინსებდით ტურისტულად აქტიურ ლოკაციებზე კაპიტალურად გარემონტდა და შიდა რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თბილისში კოლმეურნეობის მოედანზე ფხოვის ქ. #2-ში მდებარე შენობა, სადაც ნაწილ ფართში გაიხსნა 2019 წელს რესტორანი „მაჭახელა-სამიკიტნო“, ხოლო ნაწილ ფართი გაქირავდა, სადაც გაიხსნა სასტუმრო;

წინა წელს წინამძღოვილის ქუჩაზე ცენტრალური საწყობის გახსნა შედეგიანი გადაწყვეტილებ გამოდგა, რადგან მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი ნედლეულის ლოჯისტიკის საკითხს და ხარისხის დაცვას;

კომპანიაში ხარისხის კონტროლი ხორციელდება ხელმძვანელის და უშუალოდ ხარისხის მენეჯერის მიერ, კომპანიის შიგნით დაწესებული და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

მომარაგებისა და შიდა გადაზიდვებისათვის კომპანიას გააჩნია შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებები.

მზა პროდუქციისა და ნედლეულის ხარისხისა და ობიექტების დროული მომარაგებისათვის გააჩნია ცენტრალური საწყობი.

სარესტორნო ბიზნესში კომპანიამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს, კერძოდ:

- რესტორნების ადგიმდებარეობის ოპტიმალური შერჩევით კომპანიას გაეზარდა შემოსავლები;
- საქმიანობის პერიოდში მუდმივად იზრდება პერსონალისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასი;

აღნიშნული მიღწევები განპირობებულია კომპანიის მთელი კოლექტივის ერთობლივი ძალისხმევით და მათი მაღალი პროფესიონალიზმით. კომპანიის თანამშრომლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგი მომსახურეობის ხარისის ასამაღლებლად, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანიაში შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი.

2019 წელს არსებული მაღალი კონკურენციისა და 2020 წელს შექმნილი მსოფლიო პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ვცდილობთ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მოქმედი რესტორნები და მოვახდინოთ კადრების მაქსიმალური შენარჩუნება.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად მაღალი კონკურენციისა და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა კომპანია გაართმევს თავს კრიზისულ სიტუაციებს და პანდემიის დასრულების შემდეგ გააგრძელებს განვითარებას წარმატებული შედეგების დასაბრუნებლად.

დირექტორი

დიმიტრი ელიზბარაშვილი

აღნიშნული მიღწევები განპირობებულია კომპანიის მთელი კოლექტივის ერთობლივი ძალისხმევით და მათი მაღალი პროფესიონალიზმით. კომპანიის თანამშრომლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგი მომსახურეობის ხარისხის ასამაღლებლად, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანიაში შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი.

2019 წელს არსებული მაღალი კონკურენციისა და 2020 წელს შექმნილი მსოფლიო პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ვცდილობთ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მოქმედი რესტორნები და მოვახდინოთ კადრების მაქსიმალური შენარჩუნება.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად მაღალი კონკურენციისა და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა კომპანია გაართმევს თავს კრიზისულ სიტუაციებს და პანდემიის დასრულების შემდეგ გააგრძელებს განვითარებას წარმატებული შედეგების დასაბრუნებლად.

დირექტორი

დიმიტრი ელიზბარაშვილი



თავი I - საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“ საქმიანობას ანხორციელებს დამტკიცებული წესდების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიას მმართველი ორგანოა **პარტნიორთა საერთო კრება**.

კომპანიას ყავას ერთ დამფუძნებელი 100%-იანი წილის მფლობელი.

დამფუძნებელი განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხებზე როგორცაა:

- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- ფილიალებისა და განცალკევებული ქვედანაყოფის შექმნა;
- რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია);
- პარტნიორის მიერ კაპიტალში დამატებითი შენატანის, ფორმისა და წესის შესახებ;
- სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა კანონმდებლობის თანახმად შედის პარტნიორთა კრების კომპეტენციაში;

კომპანიის საქმიანობას წარმართავს **დირექტორი**, რომლის დაქვემდებარებაშია სამსახურები და მათი მენეჯერები.

სამსახურები შექმნილია ფუნქციონალური პრინციპების მიხედვის, რომელსაც ხელმძღვანელობენ მენეჯერები.

მენეჯერები ანაწილებენ კადრებზე ფუნციებს და მოვალეობებს, განსაზღვრავენ თანამშრომლის სამუშაო დროს, ასევე უზრუნველყოფენ მათ კონტროლს სამუშაო დროს ვალდებულებების მხრივ, აძლევენ ინსტრუქციებს უშუალოდ სამუშაოს შესრულების დროს.

კომპანიის მართვის სტრუქტურა იხილედ დანართად (დანართ #1).

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის საზოგადოებრივი კვება, რომელიც წარმოდგენილია რესტორან „მაჭახელა-სამიკიტნოს“ ქსელით თბილისსა და ბათუმში .

კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს სტაბილურად კარგი ურთიერთობა მომწოდებლებთან, როგორც ნედლეულის, ასევე სასმელების და დამხმარე მასალების მომწოდებლებთან, რითაც საწარმო უზრუნველყოფს სტაბილურად მაღალ ხარისხს და რესტორნების დროულ მომარაგებას.

სასაქონლო-მარაგების მართვის სამსახური უზრუნველყოფს პროდუქტის შენახვასა და ტრანსპორტირებას წესების შესაბამისად, რომელიც სრულად ითვალისწინებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომპანიის მიზანია არა ერთეული პროდუქტის (ცალკეული მომსახურების) გაკონტროლება, არამედ ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც არ იძლევა შეცდომების დაშვების შესაძლებლობას და გამორიცხავს უხარისხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის მიწოდებას.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის.

აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მომწოდებლის მხრიდან კომპანიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაწერილი პროცედურები, პერსონალის კვალიფიკაცია) მუდმივ მონიტორინგს და პერიოდულ ინსპექტირებას. საქონლის მოწოდება ხორციელდება კომპანიის მხრიდან ყველა ამ კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური კადრები სრულად უზრუნველყოფს ხარისხის დაცვას, რაც არაერთხელ არის დადასტურებული მომხმარებლების და ტურისტული ორგანიზაციების მიერ.

საქმიანობის განვითარება

ამჟამად კომპანია აერთიანებს 12 რესტორანს (11 თბილისში, ერთი ბათუმში), რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის კერძების და მომსახურების მიწოდებაზე.

რესტორნის ქსელი - „მაჭახელა-სამიკიტნო“ მუდმივად მიმდინარეობს რესტორნის გასახსნელად ახალი პერსპექტიული ადგილების მოძიება და შერჩევა გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით, რაცაც ხელი შეუშალა პანდემიით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა.


კომპანიის სტრატეგიაშია ასევე: უახლესი ტექნიკის დანერგვა ობიექტებზე, ინტერიერის განახლება, მომსახურების ხარისხის ზრდა და ახალი კერძების შეთავაზება მომხმარებლისთვის.

ძირითადი მიღწევები

კომპანია მუდმივად აფიქსირება ზრდას 2019 წლამდე შემოსავლების კუთხით, რაც შეხება 2019 წლის შედეგს სადაც აღინიშნა კლება ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ავლნიშნოთ მთავარი ფაქტორი - ჩვენს დარგში ახალი რესტორნების გახნა და კოკურენციის მომატება;

შემოსავლების დინამიკა 2015-და 2019 წლის ჩათვლით მოცემულია ცხრილში:

საქონლის მთლიანი რეალიზაციის დინამიკა



თავი II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

კომპანიის განვითარების პერსპექტივები პოსტ პანდემიურ სიტუაციამდე:


- საქონლის ასორტიმენტის გაზრდა და უცხოური სამზარეულოდან სასარგებლო სიახლეების გადმოტანა-დანერგვა;
- მომხმარებლების მომსახურების ხარისხის დახვეწა და გაუმჯობესება;
- ახალი პერსპექტიული ადგილების შერჩევა რესტორნის გასახსნელად;
- მომხმარებლის მოსაზიდად მარკეტინგული ღონისძიებებისათვის ხელშეწყობა;
- პერსპექტიული მომწოდებლების შერჩევა და საქმიანი კონტაქტის დამყარება;
- თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება გაყიდვების გასაზრდელად;
- ინტერიერზე და ექსტერიერზე მუდმივად ზრუნვა;
- კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე ზრუნვა;
- პერსონალისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება და შრომი;

2020 წელს დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებებით კომპანია ვარაუდობს არსებულ პანდემიურ სიტუაციაში მაქსიმალურად შეინარჩუნებს მოქმედ რესტორნებს და თანამშრომლებს.

თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის მაღალხარისხიანად შესრულებისთვის კომპანია სისტემატიურად ანხორციელებს ინვესტიციებს ტექნიკური აღჭურვის სრულყოფისათვის, ინტერიერის და ექსტერიერის განახლებისათვის, ასევე პროდუქციის და მომსახურეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის ინვესტიციები ძირითად საშუალებებში 2017-2019 წლების.



თავი IV სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა


პანდემიით გამოწვეული სარესტორნო სფეროში წარმოქმნილ კრიზისს, კომპანიის მთელი კოლექტივი ერთობლივი ძალისხმევით და მათი მაღალი პასუხმგებლობის გამოჩენით უმკლავდება.

კომპანიში არსებობს პერსონალზე მორგებული სამუშაო გარემო და პირობები, ხდება პერსონალის მხრიდან სამუშაო პირობებზე და გარემოზე დასმულ საკითხებზე ყურადღების მიქცევა, რაც აუმჯობესებს სამუშაო გარემოს.

სტრუქტურულ ერთეულებში იერარქიულად გადანაწილებულია უფლება-მოვალეობები, რაც ასევე შემდგომ გამოიყენება ახალი რესტორნის გახნის დროს, ხდება ახალი კადრებისათვის სტრუქტურის გაცნობა და თავდაპირველ ეტაპზე ინტენსიური ყურადღების მიქცევა, რათა სწორედ წარიმართოს სამუშაო პროცესი.

კომპანია მუდმივად ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლებს სისტემატიურად უტარდებათ გადამზედება კადრების მართვისა და გადამზადების სამსახურის მიერ. კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას კომპანია რეგულარულ ყურადღებას უთმობს. მენეჯმენტი უზრუნველყოფს კუთვნილი თანამდებობრივი სარგოს დროულად ანაზღაურებას ყველა თანამშრომელისათვის.

იხილეთ კომპანიის 2017-2019 წლების სახელფასო ფონდი:



თავი V - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანიის მიზანია მინიმუმამდე შევამციროთ საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და ამ მიზნის მისაღწევად მიუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. კერძოდ:

2016-2017 წელს კომპანიის მიერ შეძენილია ახალი ევრო-5 და ევრო-6 სტანდარტის მცირესატვირთო ავტომანქანები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მავნე აირების წარმოქმნას.

რეალიზაციის პროცესში გამოიყენება მუყაოს ყუთები.

სარეკონტრუქციო და სარემონტო სამუშაოების დროს პასუხისმგებელი პირების მიერ მკაცრად კონტროლდება გარემოზე შესაძლო ზეგავლენა და ასევე მაქსიმალურად ვცდილობთ გამოვიყენოთ ეკოლოგიურად სუფთა მასალები.

კომპანიის საქმიანობისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით.

გარემოს დაცვა ყველა ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობაა და ამ მიზნით ჩვენ მუდმივად ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ.

თავი VI - ძირითადი რისკები

კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია რისკების შეფასება და მართვა.

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს შესაძლო რისკების (როგორც ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე ფინანსური) მონიტორინგი და დაუყოვნებლივ ტარდება პრევენციული ღონისძიებები.

კომპანიაში დანერგილი რისკების მართვის სისტემა გამორიცხავს უხარისხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

ყველა მომწოდებელთან მიღებულ საქონელზე ხდება რაოდენობისა და ხარისხის კონტროლი, ასევე კონტროლდება საქონლის შენახვის და კერძების მომზადების პროცესი.

კომპანიის საწყობებში მიმდინარეობს საქონლის შენახვის ტემპერატურული პირობების მონიტორინგი. ტემპერატურული რეჟიმი დაცულია ასევე საქონლის ტრანსპორტირების პერიოდში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მალფუჭებადი პროდუქტების მიღებას, შენახვასა და საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებას.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ფინანსური რისკების მართვა, როგორიცაა სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, კრედიტორული დავალიანება და სხვა.

2020 წელს მსოფლიოში ვირუს COVID 19-ს გავრცელების გამო და მისი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში დაავადებად და მსოფლიო პანდემიის გამოხცადების გამო, საქართველოშიც დაწესდა ეკონომიკური შეზღუდვები და ადამიანთა შორის დისტანცირების მკაცრი წესები, რამაც გამოიწვია რესტორნებში მომხმარებელთა შესვლის ჯერ აკრძალვა () შემდეგ კი მომხმარებელთა მხრიდან უკვე რესტორანში შესვლაზე და წვეულებების გამართვაზე თავის შეკავების ტენდენცია. შედეგად დარგი, მათ შორის ჩვენი კომპანიაც აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში. აღნიშნული ვირუსის გავრცელების გამო წარმოქმნილი შეზღუდვების (საზღვრების გახსნა) მოსხმამდე ვარაუდობთ საწარმოში კრიზისულ პერიოდს.

მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს დირექტორმა, მმართველობითი ანგარიში დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 5 აგვისტოს.

დირექტორი

დიმიტრი ელიზბარაშვილი

გარემოს დაცვა ყველა ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობაა და ამ მიზნით ჩვენ მუდმივად ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ.

თავი VI - ძირითადი რისკები

კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია რისკების შეფასება და მართვა.

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს შესაძლო რისკების (როგორც ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე ფინანსური) მონიტორინგი და დაუყოვნებლივ ტარდება პრევენციული ღონისძიებები.

კომპანიაში დანერგილი რისკების მართვის სისტემა გამორიცხავს უხარისხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

ყველა მომწოდებელთან მიღებულ საქონელზე ხდება რაოდენობისა და ხარისხის კონტროლი, ასევე კონტროლდება საქონლის შენახვის და კერძების მომზადების პროცესი.

კომპანიის საწყობებში მიმდინარეობს საქონლის შენახვის ტემპერატურული პირობების მონიტორინგი. ტემპერატურული რეჟიმი დაცულია ასევე საქონლის ტრანსპორტირების პერიოდში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მალფუჭებადი პროდუქტების მიღებას, შენახვასა და საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებას.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ფინანსური რისკების მართვა, როგორიცაა სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, კრედიტორული დავალიანება და სხვა.

2020 წელს მსოფლიოში ვირუს COVID 19-ს გავრცელების გამო და მისი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში დაავადებად და მსოფლიო პანდემიის გამოხცადების გამო, საქართველოშიც დაწესდა ეკონომიკური შეზღუდვები და ადამიანთა შორის დისტაცირების მკაცრი წესები, რამაც გამოიწვია რესტორნებში მომხმარებელთა შესვლის ჯერ აკრძალვა () შემდეგ კი მომხმარებელთა მხრიდან უკვე რესტორანში შესვლაზე და წვეულებების გამართვაზე თავის შეკავების ტენდენცია. შედეგად დარგი, მათ შორის ჩვენი კომპანიაც აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში. აღნიშნული ვირუსის გავრცელების გამო წარმოქმნილი შეზღუდვების (საზღვრების გახსნა) მოსხმამდე ვარაუდობთ საწარმოში კრიზისულ პერიოდს.


მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს დირექტორმა, მმართველობითი ანგარიში დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 5 აგვისტოს.

დირექტორი

დირექტორი ელიზბარაშვილი





აუდიტორული კომპანია უნივერსალ კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-

7 მ უხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში. შპს „მაჭახელა-სამიკიტნოს“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 25 სექტემბრის გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს, ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

აუდიტორი
იოსებ ჯინჭარაძე
Saras –F-165195
25.09.2020წ.

აუდიტორული კომპანია უნივერსალ კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კონონის მე-

**7 მ უხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში. შპს „მაჭახელა-სამიკიტნოს“-ის ხელმძღვანელობას**

ჩვენ, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 25 სექტემბრის გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს, ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

აუდიტორი
იოსებ ჯინჟარაძე
Saras -F-165195
25.09.2020წ.

